

ცხემლისხიდის მოსახლეობა მდინარე ნატანების აუზში კიდევ ერთი ახალი კარიერის გახსნას აპროტესტებს

გასულ ხუთშაბათს სოფელ ცხემლისხიდში მდინარე ნატანების აუზში ახალი კარიერის გახსნასთან დაკავშირებით ადგილობრივი მცხოვრებლები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ვარ საკრებულოში და ყოველთვის ჩემი თანასოფლელების გვერდით ვარ – გვითხრა ლალი სიჭინავამ.

ალიონი. შეხვედრას ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების და ფრაქციის თავმჯდომარეები ლავრენტი ბიგვაკა, გონა კილაძე, ლევან მგელაძე და მერიის წარმომადგენელი ირინა ინარძიძე. ასევე, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ლალი სიჭინავა. მოსახლეობამ კატეგორიულად უარყო კარიერის გახსნა მდინატანებზე.

სოფელ ცხემლისხიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ლალი სიჭინავამ** გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ ქვალორდის მომპოვებლებმა კომპანიებმა ნდობის ფაქტორი დაკარგეს მოსახლეობაში. კარი-

ერების არასწორი ექსპლოატაციის გამო, სოფელში წყლის პრობლემა შეიქმნა. ჭებში დაშრა წყალი, ზიანდება გზები. მდინარე ნატანებმა უცვლელი ადრეობა იცის და რამდენჯერ მიაყენა ზიანი სოფელს. მე მესმის, რომ კეთდება გზები, ზედმეტი ნატანი გასატანია, მაგრამ როცა მდინარე ბახვი-სწყლის ხეობაში გახსნილი კარიერიდან მიმეწონიანმა მანქანებმა რა დღე დამართეს ოზურგეთი-ჩოხატაურის გზის ნასაკირალის მონაკვეთს ყველამ იცის. ამიტომ მოსახლეობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება მდინარე ნატანების აუზში კიდევ ერთი ახალი კარიერის გახსნას. მე სოფლის

წარმომადგენელი ვარ საკრებულოში და ყოველთვის ჩემი თანასოფლელების გვერდით ვარ – გვითხრა ლალი სიჭინავამ.

– მდინარე ნატანებზე 10 კარიერის ლიცენზიაა გაცემული. წიაღის ეროვნული სააგენტო კვლავ აგზავნის ლიცენზიებს ქვალორდის მოპოვებაზე. გურიის მდინარეები მოსახლეობის იმედზეა დარჩენილი. ჩვენი მოძრაობა „გადავარჩინოთ გურიის მდინარეები“ კვლავ აგრძელებს ბრძოლას მდინარეების გადასარჩენად – გვითხრა ამ მოძრაობის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ**.





ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

მთავარ რედაქციის მისამართი: № 28 (10321) 15 იმლიძის, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან

კურორტ ბახმაროსა და ბოგისპეტის გზების რეაბილიტაცია იგეგმება

გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, გურიის რეგიონში გზების რეაბილიტაციისთვის 120,6 მილიონი ლარი დაიხარჯება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვა აქვს გამოცხადებული.

პროექტს მსოფლიო ბანკი აფინანსებს. სახელმწიფო შესყიდვა მოიცავს გზების რეაბილიტაციასა და მოვლა-შენახვას. პროექტი სრულად 5 წელიწადში უნდა

დასრულდეს. მილიონობაში იგეგმება 239,8 კმ-ის გზის რეაბილიტაცია, რომელშიც შედის შემდეგი მონაკვეთები: საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი, ოზურგეთი-შემოქმედი-ბუჟუჟკისი-გომისძოთა, ოზურგეთი-ნატანები ურეკი, შუხუთი-აცანა-მამათი-ძიმიტი, ნატანები - ჩოლოქის ხიდი, ჩოხატაური - ბანძარი, ოზურგეთი-ნინოშვილი-ლეჩხა, ჩოხატაური - ზომღეთი.

სახელმწიფო შესყიდვაში წინადადებების მიღება 26 აგვისტოს სრულდება.



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

ძმები ჭელიძეების კვლავ დაზარალებულ და გადახრილ სახლში ცხოვრება გარკვეული რისკების შემცველია

თემურ მარშანიშვილი

ამ მოვარესავით სავსე ბიჭს რომ უყურებთ, აკანში ისე მშვიდად სძინავს, დიდი არხინა ვინმე უნდა იყოს. ნიკა ჭელიძე გვარად. წლინახევრისა უკვე და, ალბათ, მალე არტახებს აწვევტს.

ზოგადად, როცა სოციალურად დაუცველ ოჯახში შვიდივარო, სიტუაციიდან გამომდინარე, ცუდ ხასიათზე ვდგებით ხოლმე. ამ ბიჭმა კი, შეიძლება ითქვას, რომ გუნება გამოგვიკეთა.

ძმები ვაჟა და თემურ ჭელიძეები, თავიანთ მშობლებთან და ცოლ-შვილთან ერთად, სულ ათი სული, ერთ ოჯახად ცხოვრობენ სიღაურის ტერიტორიულ ერთეულში, ე. წ. „სიღაურის ნასაკირალში“. ამ დასახლებაში 50-მდე კომლია. როგორც თემურ ჭელიძემ გვითხრა, დასახლებას დიდი საქმე გაუკეთა მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, ვისი ძალისხმევითაც აქ მოიხსნა უგზობის პრობლემა, დაიგო 500 გრძივი მეტრი ბეტონის გზა.

ჭელიძეები აქ 20 წლის წინათ მაღალმთიანი ღორჯომიდან – ჭახაურადან ჩამოსახლებულან. მეწვერისაგან დაზინებული ბელეტაჟი სახლი, ბოსელი, რამდენიმე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 5 ათას კვადრატულ მეტრამდე მიწის ნაკ-

ვეთი – სულ ეს არის ძმების ავლადილება.

ოჯახის უფროსები, ანუ ძმების მშობლები სახლში არ დაგვიხვდნენ, საზაფხულო იაღალზე წასულან ბაისურაში და ორიოდე სულ საქონელს უვლიან. თემურს ორი შვილი ჰყავს, 4 წლის თორნიკე, რომელიც ბაისურაში ბებოს და ბაბუს გაჰყვოლია და წლინახევრის ნიკა, წერილის დასაწყისშივე რომ გაგაცანით.

უფროსი ძმის, ვაჟას შვილები – 14 წლის გოგონა და 10 წლის ბიჭი დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლაში სწავლობენ. ჭელიძეები მშრომელი ხალხია და საკარმიდამო ნაკვეთსაც საგრძობლად ეტყობა მზრუნველი ხელის კვალი. ძირითადად ბოსტნეული მოჰყავთ, ბოსტანს უმეტესწილად რძლები უვლიან. ეზოს ბოლოში, დატალავებული კივის ნარგაობაც ჩანს, შარშან 90 ძირი საადრო მანდარინიც დაურავთ. მათი მოვლა უკვე ოჯახის მამაკაცების პრეროგატივაა. სასმელ და სარწყავ წყალს ერთ-ერთიანი ავზით ყოველ მეორე დღეს იღებენ მეზობლიდან, რომელიც ჩართულია ნასაკირალის წყალსადენის სისტემაში.

მეზობლების თქმით, ეს გამრჯე ოჯახი სხვისი ხელის შემყურე არასოდეს ყოფილა, მაგ-



რამ ნახევარი ჰექტარი მიწა ათსულიან ოჯახს ვერ შეინახავს. ტოტალური უმუშევრობა კი, პირველ რიგში, სწორედ ასეთ ოჯახებს ადებს სოციალურ გასაჭირში. ისიც სათქმელია, რომ ბოლო დროს ორივე ძმას ჯანმრთელობა შეუღალა და მათ ვერ ადგილზე შეძლეს ფიზიკურად შრომა და ვერც მეზობელ

ჭვეყანაში გავიდნენ სამუშაოდ. სოციალურ საავტოს ერთი თვის წინ შეუსწავლია ეს ოჯახი და მისთვის მიუნიჭებია 74 ათასი სარეიტინგო ქულა:

– დახ, იყო სოციალური აგენტი, აღწერა ყველაფერი, მერე, როგორც გვითხრეს, ბავშვებს

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო კომპლექსის ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათით (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათით (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის ინ-ახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის
 ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

გურიის სამივე მუნიციპალიტეტში 25 სოფლის გაზიფიცირება დაგეგმილი



გურიის სამივე მუნიციპალიტეტში 25 სოფლის გაზიფიცირება დაგეგმილი - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **ნათია თურნავამ**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

„გამოვაცხადეთ, რომ იწყება გაზიფიკაციის სამუშაოები - ვერ ვიწყებთ პროექტირებას და მას წლის ბოლომდე დავასრულებთ. დარწმუნებული ვართ, რომ აქაურ მოსახლეობას გაისად ამ დროს გაზი უკვე ექნება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი შრომა ერთ-ერთია იმ დასახლებებიდან, სადაც 2019 - 2021 წლებში გაზიფიცირება განხორციელდება, შედეგად კი ადგილობრივი მოსახლეობა ბუნებრივ აირს მიიღებს. შრომის თემში 6 სოფელი შედის. გაზიფიცირების სამწლიანი სამთავრობო გეგმის თანახმად, 2019 - 2021 წლებში გურიის სამივე მუნიციპალიტეტში 25 სოფლის გაზიფიცირება დაგეგმილი“ - განაცხადა მინისტრმა.

მინისტრთან ერთად მოსახლეობას შეხვედრენ, გურიის მხარის რწ-

მუნებული ზურაბ ნასარაია, რწმუნებულის მოადგილე აკაკი შენგელია, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დირექტორი ჯაბა ხმალაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

„ჩვენ, მოსახლეობასთან ადგილზე მივდივართ და ინფორმაციას ვაწვდით იმის შესახებ, თუ რა პროექტები განხორციელდება მათ სოფლებში. ამჯერად შეხვედრა გვაქვს სოფელ შრომაში, სადაც შრომის თემის ექვსივე სოფელში, გაზიფიცირების სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება და 2020 წლის ზაფხულში დასრულდება.“ - აღნიშნა ზურაბ ნასარაიამ.

შრომის თემში შემაჯავლი სოფლების (შრომა, ორმეთი, ვაკე, ზედუბანი, ხრიალეთი და მოცენარი) გაზიფიცირების შედეგად, აშენდება გაზსადენი, რომლის სავარაუდო სიგრძე 95 383 გრძობი მეტრი იქნება. თემში კომლთა რაოდენობაა 1446. უშუალოდ სოფელ შრომაში 233 კომლი გახდება გაზის კომპანიის აბონენტი. პროექტის სავარაუდო ღირებულება 5 263 809 იქნება.

საჯავახო-ოზურგეთი-ქობულეთის გზის რეაბილიტაცია სრულდება



საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი 6 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა დასრულების ეტაპზეა.

სრულდება საგზაო ნიშნებისა და მონიშვნის მოწყობის სამუშაოები.

საქართველოს საავტომობილო გზე-

ბის სახელმწიფო დეპარტამენტმა პროექტი 4 888 888 ლარით დააფინანსა. სამუშაოებს შპს „New road“-ი აწარმოებს.

გასულ კვირაში მიმდინარე სარეაბილიტაციო პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე** ადგილზე გაეცნო.

გდინარე აბილაყვაზე დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ოზურგეთის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე** მაკვანეთის ტერიტორიულ ერთეულში, მდინარე აბილაყვაზე დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

პროექტის ღირებულება 56 000 ლარს შეადგენს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ხიდის რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დასრულდება

შეკვეთილში ტურისტული კონფერენცია გაიმართა

შეკვეთილში, „ბლეკ სი არენას“ დარბაზში ტურისტული კონფერენცია „ზღვიდან მთამდე“ გაიმართა. კონფერენციის მიზანი გახლდათ გურიის ტურიზმის სფეროში არსებული გამოწვევების განხილვა. კონფერენციას გურიის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე რუსუდან მამაცაშვილი, გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი თინათინ ტყეშელაშვილი, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, მერი კონსტანტინე შარაშენიძე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და კერძო სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მხარის რწმუნებულმა გურიის რეგიონის მასშტაბით ტურისტულ პოტენციალზე გაამახვილა ყურად-

ღება, ტურიზმის სფეროში განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე კი საზოგადოებას ტურიზმის სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარების, მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობასა და ამ მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებზე მიაწოდა ინფორმაცია. შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში წარიმართა. კონფერენცია „ზღვიდან მთამდე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, კერძოდ ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, გაეროს განვითარების პროგრამისა და გურიის სამხარეო ადმინისტრაციის პარტნიორობით.



ვაჟა ახვლედიანს ბიორგი სალუქვაძის პრემია მიენიჭა



ალიონი. დასრულდა გიორგი სალუქვაძის სახელობის მე-10 საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც ქორეოგრაფიული კოლექტივები მონაწილეობდნენ უკრაინიდან, ბელორუსიდან, ესტონეთიდან, ყაზახეთიდან და საქართველოდან.

8 ივლისს, დაბა ჩოხატაურის კულტურის სახლში გამართულ კონ-

ცერტის შემდეგ ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ გიორგი სალუქვაძის სახელობის პრემია გადასცა, ცნობილ ქორეოგრაფსა და მოცეკვავეს, ხელოვნების ქურუმის წოდების მფლობელს **ვაჟა ახვლედიანს...**

ეულოცავთ ვაჟა ახვლედიანს მორიგ აღიარებას.

გაზეთის შედეგები ნომერი გაიშვა
ხუთშაბათს, 25 ივლისს

დონალდ ტრამპი – „ვბრძნობ, რომ საქართველოს კალიან პარტი და იმედისმოცემი მომავალი აქვს“



„დღევანდელი შეხვედრების შემდეგ ვგრძნობ, რომ საქართველოს ძალიან კარგი და იმედისმომცემი მომავალი აქვს“, - ამ სიტყვებით მიმართა ვეროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილს.

მმართველი პარტიის ლიდერმა სტუმარს ბათუმში უმასპინძლა.

დრა საინტერესოდ და შთაბეჭდვად შეაფასა და გამოთქვა რწმენა, რომ ერთობლივი ძალისხმევით საქართველო კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს.

„ბატონო თავმჯდომარე, დიდი მადლობა ძალიან საინტერესო შეხვედრისთვის. როგორც მოგეხსენებათ, ბათუმში ვიზიტი აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ჩემი მისასალმებელი გამოხსენებით დაიწყო. შემდეგ შედეგა ჩემი შეხვედრები ქალბატონ პრეზიდენტთან, ბატონ პრემიერ-მინისტრთან, ოპოზიციის ლიდერებთან და ახლა მმართველი პარტიის ლიდერს ვხვდები. დიდი მადლობა, ბატონო ბიძინა! ძალიან საინტერესო და შთაბეჭდვების მომცემი შეხვედრაა. დღეს თქვენთან, თქვენს ოპონენტებთან, მთავრობასთან და ქალბატონ პრეზიდენტთან შეხვედრების შემდეგ ვგრძნობ, რომ ძალიან კარგი და იმედისმომცემი მომავალი აქვს საქართველოს, არსებული პრობლემების მიუხედავად. ძალიან ღია და გახსნილი კომენტარები გავაკეთეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ,

რომ ერის გაერთიანებული ძალისხმევის პირობებში, სანამ შევიძლიათ ერთად მოქმედება აზრთა განსხვავებულობის მიუხედავად, პოლიტიკური დებატების პირობებში და ვიდრე ოპტიმისტურად იქნებით განწყობილი, ასეც იქნება. მადლობას ვიხდით ამ შეხვედრისთვის. თავს განსაკუთრებულად და გამოჩრეულად ვგრძნობ. მადლობას ვუხდით ქართველ ხალხს და საქართველოს. ვფიქრობ, საქართველოში ყველაფერი შესანიშნავადაა“, - განაცხადა დონალდ ტრამპმა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრისას.

მმართველი პარტიის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრობის პერიოდში დონალდ ტრამპთან პირველი შეხვედრა გაიხსენა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ვეროპული საბჭოს პრეზიდენტი საქართველოს კარგი მეგობარია.

„მასხვს ჩემი პრემიერ-მინისტრობის პერიოდი, როდესაც გამოუცდელი პოლიტიკოსი ვიყავი, მასთან მქონდა ყველაზე თბილი შეხვედრა და იმ დღიდან მოყოლებული ჩვენ ძალიან თბილი ურთიერთობები გვაქვს. მას უყვარს საქართველო, ის საქართველოს

მეგობარია. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, როდესაც დღეს მან ჩვენი კლასიკოსი გაიხსენა - ვაჟა-ფშაველას სიტყვები ქართულად წაიკითხა. ამით მან მოხიბლა მთელი საქართველო და მე მას პირადად გადავეცი დიდი მადლობა. ის უყვართ პოლიტიკოსებს საქართველოში - როგორც პოზიციას, ისე - ოპოზიციას. მან მოხიბლა საქართველოს მთელი მოსახლეობა და საზოგადოება მისი ასეთი პოზიციით. მადლობა მას. დღევანდელი სიტუაცია, ამდენი მეგობარი, ამდენი ევროპელი და ძვირფასი სტუმარი ჩამოვიდა დღეს საქართველოში. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება და ჩვენ მტკიცედ გავაგრძელებთ ამ გზას ევროპისკენ. ჩვენი გზაა ევროატლანტიკური სივრცე, ჩვენი გზაა ევროპა და ჩვენ მტკიცედ დავიჭერთ ამ მიმართულებას. ჩვენი მეგობრების დახმარებით ჩვენ ჩავეწვებით ამ ოჯახში - განვითარებული ევროპული სახელმწიფოების რიგში“, - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ევროკავშირის ლიდერებმა ოკუპირებულ რეგიონებში კუბინის განცხადება შეაფასეს

ბათუმში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში მაღალი რანგის ევროკავშირის სტუმრებმა შეაფასეს ორი დღის წინ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მიერ გაკეთებული განცხადება შეაფასეს.

დონალდ ტრამპმა შეხვედრებს შორის, მედიას მოკლე რეპლიკით უპასუხა.

"ნათელია, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს ევროკავშირის იმედი ამ რთულ სიტუაციაში. საქართველოსა და ევროკავშირის სოლიდარობა მუდმივად იქნება თანმიმდევრული. ჩემი შეხვედრებისა და ემოციების გამო, ალბათ, უკეთესი იქნება თუ მეტ კომენტარს არ გვაკეთებ", - განაცხადა დონალდ ტრამპმა. კრემლის ლიდერის მიერ შეთავაზებულ, შეცვლილ ისტორიაზე აზრი ჰკითხეს სხვა ევროპულ პოლიტიკოსებსაც.

ყველა მთავარი რუსეთის აგრესორს უწოდებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერას კიდევ ერთხელ გამოხატავს.

გერმანიის ბუნდესტაგის ვიცეპრეზიდენტის კლაუდია როთის განცხადებით, თუ პუტინი ისტორიაზე საუბრობს, მან უნდა გაიხსენოს, რომ 1991 წელს დადგენილი საზღვრები სრულიად განსხვავებულია იმისგან, რაც შემდეგ უკრაინაში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მოხდა.

9 ივლისს რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 1918 წელს საქართველომ გერმანიის ჯარის დახმარებით მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია, 1919-1920 წლებში კი ქართული ჯარი უფრო სასტიკად იქცეოდა ოსეთში.

საპატრიარქო კუბინის განცხადებაზე სწრაფ რეაგირებას ითხოვს



საქართველოს საპატრიარქო აფხაზეთთან და ეჭ. „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას აფასებს.

საპატრიარქო სწრაფ რეაგირებას მოითხოვს იმისთვის, რომ როგორც საქართველოს ზოგადი ისტორიის, ისე მისი

ცალკეული ეტაპების შესახებ არსებული სამეცნიერო გამოკვლევები და პოპულარული წიგნით დაწერილი მასალა მსოფლიოში გასაფრთხილებლად კვალიფიციურად შეირჩეს და დროულად ითარგმნოს ინგლისურ, რუსულ და სხვა უცხო ენებზე.

„9 ივლისს რუსეთის პრეზიდენტის, ბატონ ვლადიმერ პუტინის მიერ აფხაზეთთან და ეჭ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით არც თუ ისე შორეული წარსულის არასწორი ინტერპრეტაციამ ჩვენს ხალხში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ამგვარი დამახინჯება ისტორიული ფაქტებისა, არსებული კონფლიქტების გაღრმავებას უწყობს ხელს“, - წერია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.

საპატრიარქოში მიანიათ, რომ პუტინის ეს განცხადება ერთგვარ გამოწვევად უნდა იქცეს საქართველოს სახელმწიფოს,

ქართველი მეცნიერებისა და თითოეული მოქალაქისთვის და მოხდეს სწრაფი რეაგირება.

„ამ პროცესში კი ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება. ასევე, აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიები პრობლემურ საკითხებზე. საქართველოს საპატრიარქო მზად არის, ისტორიულ რეალობებზე მსჯელობისათვის კონფერენციებისა და შეხვედრების მოწყობაში ყველა მხარეს შეუწყოს ხელი“, - აღნიშნულია განცხადებაში.

9 ივლისს რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 1918 წელს საქართველომ გერმანიის ჯარის დახმარებით მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია, 1919-1920 წლებში კი ქართული ჯარი უფრო სასტიკად იქცეოდა ოსეთში.

კმები ჭელიძეების კედლებდაზარულ და გადახრილ სახლში ცხოვრება ბარკვეული რისკების შემცველია



ერგებოდან სოციალური დახმარება. ველოდებით, შეგვიპირდნენ, სამი თვის ვადაში დადებითად გადაწყდება ეს საკითხი, ერთი თვე უკვე გავიდა. ამ საქმეში დიდი დახმარება გავიწიან სოფლის ხელმძღვანელობამ, - გვითხრა თემურ ჭელიძემ.

ჭელიძეებისთვის უმთავრესი მაინც საცხოვრებელი სახლის პრობლემაა. არსებული, ჩვენი აზრით, დასაშლელია, რადგან მუწყვერული მოვლენების შედეგად, რამდენიმე ადგილას კედლები საგრძობად დაზარალდა. სახლი გადახრილია და მასში ცხოვრება გარკვეული რისკების შემცველია.

ოჯახს ამ ეტაპზე ნამდვილად არ

გააჩნია იმის სასხარი, რომ შეიძინოს სახლი და გადასახურავი მასალა. ჭელიძეები იმედოვნებენ, რომ მათ თხოვნას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა უწყურადღებოდ არ დატოვებს.

სილაურში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის გონა ჯანსოილის თქმით, მუნიციპალიტეტის მერია სოციალურად დაუცველ, შეჭირვებულ ოჯახებს სხვადასხვა ფორმით ეხმარება როგორც სილაურში, ისე სხვა ტერიტორიულ ერთეულებში:

„სილაურის ნასაკრავლის დასახლებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერამ დახლოებით 10 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები - სახურავი, ცემენტი, ხის მასალა, არმატურა გადასცა ვახტანგ ლომინაძის ოჯახს, რომელმაც ამ დახმარებით ორსართულიანი კაპიტალური სახლი ააშენა.

უშუალოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, სილაურის ნასაკრავლის დასახლებაში 0,5 კვილომეტრი ბეტონის გზა დაიგო, აქ


მოხსნა სახლის მშენებლობისათვის“ - გვითხრა ჯანსოილმა.

კარგია თუ ჭელიძეების ოჯახის ყოფითი პრობლემები დროულად მოგვარდება, თორემ მერე, პატარა ნიკა რომ არტანუბიდან თავს დააღწევს, შესაძლებელია, აქედან დაგვეხმაროს.



„თოკუმი გურამ თიკანაძის მეფევილე მიბვიძვოდა“

მეღვინეა თამაზ ბაქანიძის ხსოვნას



ამ სათაურით დაიბეჭდა ვრცელი სტატია გაზეთ „ალიონის“ 1997 წლის №19-20-ში. 1997 წლის 19 აგვისტოს, ტურისტულ-ალპინისტური

საზოგადოება „გურიის მთების“ მოყვარული ალპინისტები (რევაზ ცქვიტინიძე, ნუგზარ ასათიანი, შოთა ცხომელიძე) კავკასიონზე, გერგეტის მყინვარის რაიონში რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, ცნობილი მთამსვლელის, თამაზ ბაქანიძის ხელმძღვანელობით მწვერვალ „ორწვერზე“ ავიდნენ. ჯგუფის წევრები შემდგომში სხვა მწვერვალებზეც იყვნენ, მაგრამ ეს იყო ვაჟკაცობის დიდი გამოცდა, რომელიც მათ უფლის წყალობითა და საკუთარი ნებისყოფის მობილიზებით დაძლიეს.

სამწუხაროდ, თამაზ ბაქანიძე რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა და ახლა წარსულში გვიწევს მასზე საუბარი.

„მთებზე ყველაფერი დიდებული იცინა“

თამაზ ბაქანიძეს განზორციელებული ჰქონდა მრავალი ურთულესი ასვლა პამირის, ტიან-შანის, ალპებისა და კავკასიონის მწვერვალებზე. დაპყრობილი ჰქონდა ექვსი მერნ კატეგორიის სირთულის მწვერვალი. მინიჭებული ჰქონდა „თოვლის ჯიქის“ წოდება. იგი მთამსვლელობაში დაოსტატდა ალექსანდრე ნემსიწვერის, გოგი ჯაფარიძის და მიხეილ ხერგიანის ხელმძღვანელობით. გივი ქართველიშვილის ჯგუფში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე მოიპოვა ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. აი, როგორ იხსენებს იგი მიხეილ ხერგიანს:

„მთის სილამაზემ წარმოშვა, უკვ-

დავებად ქცეული მთამსვლელი მიხეილ ხერგიანი. მას ჭარბად გააჩნდა ალპინიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ღირსეული თვისება – სიფრთხილე, გადაწყვეტილების სწორი მიღება, სიმამაცე... მან ღირსეულად მოიპოვა „კლდის ვეფხვის“ სახელი...“

მიმასთან მეგობრობა მაკავშირებდა 1964 წლიდან. მასთან ერთად ვვარჯიშობდი კლდეზე ცოცვაში, გამოვდიოდი მეკლდეურლთა შეჯიბრებებზე; საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის და საკავშირო პროფკავშირების პირველობაზე. 1965 წელს, მე მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი იმ გუნდის წევრი, რომელმაც მიხეილ ხერგიანის თაოსნობით პირველი ადგილი მოიპოვა იალტაში მეორე საკავშირო შეჯიბრებაზე საბჭოთა

კავშირის პირველობაზე. მასთან ერთად ვიყავი კავკასიონის და ტიან-შანის მწვერვალებზე.“ – წერს თამაზ ბაქანიძე წიგნში „კაცი ლეგენდა.“

როგორ დაიღვპა გურამ თიკანაძე

ამის შესახებ თამაზ ბაქანიძემ პირველად 1997 წლის აგვისტოს ერთ ღამეს მოგვიყვა კავკასიონზე „იავორას ნიშას“ ქვემოთ კარავში ღამისთევისას. თხრობის დაწყებისას ყელზე მარღვი შეუტოკდა და თვალბში ცრემლები ჩაუდგა.

– იმ საბედისწერო ექსპედიციაში შხარაზე გურამთან ერთად ვიყავი. იგი ორი წლის გაცნობილი მყავდა და ერთად ვვარჯიშობდით. ვემზ-



დედასავით დამაკლდები და მომენატრები...



თაობები ურთიერთშორის დღესაც სვამენ შეკითხვებს – ვინ გასწავლიდა ქართულს?

– მარგალიტა, ანა, შუშანა, ფეფო... – პასუხობენ ერთმანეთს ამყად.

მე, შუშუნა მასწავლებელი, არავის შეგადარებდი, რადგან თქვენ იყავით ქართული ენისა და ლიტერატურის შეუდარებელი მესარმკველი...

ყველაფერი ასე დაიწყო: თავისუფალი თემის შემოთავაზება გიყვარდათ. ალბათ, მიიჩნევდით, რომ ასეთი მეთოდით „სასურველ თევზს“ უფრო დაიჭერდით. თემა დავწერე, თქვენ წაიკითხეთ და მკითხეთ – ვინმე დაგეხმარა? დღე-ანემი დაიბარეთ და უთხარით, რომ ჩემზე იზრუნებდით...

იზრუნე და მერე როგორ! იმ დღის შემდეგ, როგორც დიდი ინგლისელი ისტორიკოსი ვილიამ რობერტსონი იტყოდა, – „ჩემთვის სიცოცხლე ულიტერატუროდ სიკვდილია“...

თქვენ წყალობით, შუშუნა მასწავლებელი, ქართული ენა და ლიტერატურა ჩემში შემოვიდა არა როგორც საგანი, არა როგორც მეცნიერება, არამედ როგორც ღმერთი. ჩავთვალე, რომ იმ გრძნობებს, განცდებს, აღმაფრენას, განცვიფრე-

ბას, რასაც ზოგადად ლიტერატურა ტოვებს ადამიანში, თავისუფალი კალმის საშუალებით უფრო გამოვხატავდი, ვიდრე სხვა პროფესიით და თეატრალური ინსტიტუტის შემდეგ დავამთავრე საზოგადოებრივი ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

თქვენს კვალს კი ღირსეულად გაჰყვა თქვენი ქალიშვილი ოლიკო მუჯირი.

შუშუნა გობრონიძის სულიერებას საოცრად შეერწყა მისი ფიზიკური მშვენიერება...

ლამაზი, უძირო თვალები, მიმზიდველი ხორბლისფერი სახე, სწორი ნაკვთები, სადად, ელეგანტურად შემოსილი, ფრთხილი ნაბიჯებით მოსიარულე, ზედმიწევნით დახვეწილი მეტყველება, ხმა – ნაზი, ენა კი – მუდამ ტკბილად მოუბარი...

25 ივნისს ეს არაჩვეულებრივი ადამიანი უკანასკნელ გზაზე გააცილეს ოზურგეთის საზოგადოებაში, ქალაქის ხელმძღვანელობამ, აღზრდილთა თაობამ, ახლობლებმა, ნათესავებმა. მისმა ქალიშვილმა მანამ ჭირისუფლის სკამი დამითმო და მითხრა – აქ დაჯექი, შენ ეს სკამი გეკუთვნის, შენ ეს დაიმსახურე! – ვითომ?

შენს ამაგს ვინ გადაიხდის შუშუნა მასწავლებელი!.. ისევ გაბრეულ ბერი თუ მანუგემებს: – „ასეთ ამაგს მხოლოდ მუდმივი მადლიერებით გადაიხდი“...

დედასავით დამაკლდები და მომენატრები...

ოლიკო კოხალავა-ჩხაიძე.

რედაქციისათვის: წინა ნომერში გამოქვეყნებულ ამ წერილში, უნებლიეთ სხვა სურათი ჩავლეთ. ბოდიშს ვუხდით ავტორსა და მკითხველს დაშვებული შეცდომისთვის და ხელმეორედ ვბეჭდავთ მასალას.

მადლობა მერს

რამდენიმე დღის წინ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ მდინარე აჭისწყლის კალაპოტში დაამთავრა გასწორება-ზონება და ნაპირსამაგრი სამუშაოები, ე. წ. გაბმული ხიდიდან დაწყებული, ქვემოთ 1 კილომეტრის ფარგლებში. იყო იმის საფრთხე, რომ მოსახლეობას ველარ ესარგებლა ამ მონაკვეთში არსებული არხით (ლეღეთი), რომელსაც მოს-

ახლეობა იყენებს სარწყავად, მასზე მოწყობილი აქვს წისქვილები და სათევზე ტბორი.

წერილობითი განცხადებით, საქმის კურსში ჩავაყენეთ მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი კონსტანტინე შარაშენიძე, რომელმაც პირად კონტროლზე აიყვანა ობიექტზე მიმდინარე სამუშაოები, რამდენჯერმე ჩამოვიდა და ადგილზე გაეცნო

საქმეს. შედეგად მოსახლეობას მოეხსნა ეს საფრთხე.

თქვენი გაზეთის საშუალებით, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს გულისხმიერების, გვერდში დგომისა და დახმარებისათვის.

კვაჭალათის აჭისწყლისპირა მოსახლეობა.

ქვედა ბახვი სასაფლაოსთან და ეკლესიასთან მისასვლელი გზა კეთდება


სოფელ ქვედა ბახვი ეკლესიასთან და სასაფლაოსთან მისასვლელი გზა კეთდება. ეს საშუალებას მისცემს ტაძრის მომლოცველებს ადვილად ავიდნენ ტაძარზე. სამუშაოებს ოზურგეთის მუნიცი-

პალიტეტის მერია შეასრულებს, რაშიც დიდი წვლილი სოფლის მაჟორიტარ დეპუტატ ეროდი გორდელაძეს მიუძღვის. მუნიციპალიტეტი და დეპუტატი წყლის პრობლემის მოგვარებასაც გეპირდება.

მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მაჟორიტარ დეპუტატს მოსახლეობის პრობლემის დადებითად გადაწყვეტაში.

სმარბო მუჰაბანიანი, ქვ. ბახვი

სულთანა



უახლოესი მეგობრები ოთარ ნაცვალაძე, ზაალ კვერელიძე, მერაბ დარჩია, ჯონდო ჯაბუა, ზურაბ გაბეჩავა, რომან მეგლაძე ოჯახებით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის **გენადი სეფერთელაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. ოზურგეთის №3 საშუალო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის **გენადი სეფერთელაძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

განცხადებები

იყიდება სათბურის 72 კვ. მ. ფართის ემტალის მიღებისაგან შედგენილი კარკასი. ფასი უმთანხმებით. დაგვიკავშირდით: (593) 38 29 00.

ემტალო კლასტმასის პარ-ფანჯრების დაყვანა და დაყვანა იაფად და ხარისხიანად ტელ: 598 00 53

„ტოკუმი გურამ თიკანაძის მეფევილი მიგვიკლვოდა“

ექვნიშა თამაზ ბაქანიძის ხსოვნას



შოთა ჩართოლანი და თამაზ ბაქანიძე. ტიან შანი 1966 წ.

ადებოდა იმჟამინდელი სსრ კავშირის პირველობისთვის ერთეულს შორის. კავკასიონზე, მწვერვალ თეთნულდზე ავედით ერთად, მაგრამ 1962 წელს ბევრი უბედური შემთხვევა მოხდა და ერთეულთა პირველობები შეწყვეტიეს. გურამს არაერთი მწვერვალი ჰქონდა დაპყრობილი და იგი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, როგორც ფოტოხელოვნებაში, ისე ალპინიზმში. ალპინიზმში საკუთარი ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ჰქონდა მოპოვებული. 1962 წელს მოდენის საერთაშორისო ფოტოკონკურსში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მისმა ნამუშევარმა „თბილისის ზღვა“. ეს პირველი საერთაშორისო ჯილდო იყო საქართველოს ფოტოხელოვნების ისტორიაში. შესაძლოა, იმიტომაც დაგახლოვდით, ერთი ფესვები გვექონდა გურიიდან და მე მხატვარი ვიყავი. მოკლედ, ამ ახოვან და ულაძაზე ვაქვაცთან ერთად რომელ მთამსვლელს არ მოუნდებოდა მისიხანე მწვერვალებთან შერეობა. ჯგუფს, რომელსაც ცენტრალურ მხარაზე უნდა განეხორციელებინა ასვლა, გურამ თიკანაძე ხელმძღვანელობდა. ჩემთან ერთად ამ ჯგუფში იყვნენ ვანო წიკლაური, გიორგი კობიძე, ვალიკო ფოფხაძე. ასვლისას გურამის მეწვეილე ვიყავი, — მასთან ერთად თოქში ჩაბმული. ვიცოდით, გურამს იმ დროისათვის დიდი ნერვიულობა შეხვდა, მაგრამ ჩვენთან არ იმჩნევდა... ეს ყოველივე დაშვებისას მოხდა. დაახლოებით 4800 მეტრ სიმაღლეზე ვიყავით. წინ ფრიალო, შვეული კედელი გვექონდა გასავლელი. პალო თავად გურამმა დააგო. ბიჭები ურჩევდნენ მეორე პალოც დაეგო, მაგრამ... დაშვება დაიწყო. უცებ რაღაც გავარდა და დავინახეთ, გურამი მოწყდა და ქვევით მიფრინავდა. პირველი დაცემისას ხელებით შეეცადა ვარდნის შეწყობას, შემდეგ მეორედ დაეცა და... მთელი სამასი მეტრით ქვევით ჩაიქროლა... — მივეშველოთ-მეთქი, — წამომცდა. ვანო წიკლაურის ცრემლიან თვალებს რომ შევხედე, უცებ მოვედი გონს და მივხედი, რომ, გურამი აღარ იყო.

„გურიის მთები“ კავკასიონზე

ჩვენი ჯგუფი ყაზბეგში ცნობილი მთამსვლელისა და სახალხო მთქმელის იაგორ კახალიკაშვილის ოჯახს ესტუმრა. გულითადად მივიღე კახალიკაშვილებმა. მისმა შვილიშვილმა, ქალბატონმა მერიმ გვითხრა, რომ გველეთში, მთამსვლელთა ბაზაში თბილისის კლდეზე ცოცვისა და ალპინიზმის სპორტული სკოლა იყო ჩამოსული და მას ცნობილი მთამსვლელი თამაზ ბაქანიძე ასვლიდა. თამაზ ბაქანიძე როგორ არ ვიცოდით, ოზურგეთელი (ნატანები) კაცი, რომელიც თანამედროვეების უდიდეს მთამსვლელ რაიპოლდ მენერთანაც კი მეგობრობდა. დარიალის ხეობით მივადექით გველეთში მთამსვლელთა სპორტულ ბაზაში ლადო გურჩიანს და თამაზ ბაქანიძეს. „გურიის მთების“ პრეზიდენტმა თენგიზ ბერიშვილმა სთხოვა მათ დახმარება. — გურამ თიკანაძის დაბადებიდან 65 წლისთავთან დაკავშირებით კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალი უნდა დავლაშქროთ. გვინდა წინამძღოლობა გაუწიოთ ამ ბიჭებს. — უთხრა თენგიზმა. გურამის ხსენებაზე სახე გაუნათდა და უყოყმანოდ დაგვთანხმდა წინამძღოლობას. დილით შევხდით. მან ჩვენი აღჭურვილობა დაათვალიერა. სურსათის მარაგი შეამოწმა და ყაზბეგის გავლით სოფელ გერგეთში ავედით. აქაც დავიმატეთ საჭურველი, თბილი ტანსაცმელი და გზას გავუდექით. იმ საღამოს მხოლოდ ხუთიოდე კილომეტრი გავიარეთ და ზღვის დონიდან დაახლოებით 3000 მეტრზე პირველი ღამისთევა მოვაწყვეთ (აქ მოგვიყვანა გურამ თიკანაძის ტრაგიკული დაღუპვის ამბავს). მეორე დილით გზა განვაგრძეთ. გავიარეთ იაგორას ნიში, გადავლახეთ მთის გიჟმატი მდინარე ჩხერი და თოქში ჩაბმულები გერგეთის მყინვარზე გავაგმეღეთ გზა. მეტეოსადგურში თბილად მიგვიღეს. თამაზ ბაქანიძე ჩინებულად ფლობდა გერმანულ ენას, ინგლისურსაც საკმაოდ იცოდა და უცხოელ მთამსვლელებთან კონტაქტი

არ გავგვირვებია. ყაზბეგიდან გასვლის მესამე დღეს მთავარი ჯგუფის ვარჯიში გაიმართა. თამაზი ნაპრალების (ზოგან 100-200 მეტრზე მეტი სიღრმისა) გადალახვას გვასწავლის. თოქში ვართ ჩაბმულნი. წრიაპები ყინულზე მოცურებისგან გვიცავენ. ალპენშტოკით ნაპრალების წინა ყინულის საიმედოებას ვამოწმებთ, თოქმებულნი წერაყინებით საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთი გავგვყავს დაზღვევაზე. ნაშუადღევს 5 საათისათვის მივადექით ორწვერის ქედს. ამინდს არა უშავს. უკვე 4000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე ვართ და 2 საათში შეიძლება მწვერვალზე ასვლა, მაგრამ დაშვებისას დაგვაღამდება, თანაც დიდი ნაპრალები გვაქვს გადასალახი. თამაზ ბაქანიძის რჩევით საბაზო ბანაკში ვბრუნდებით. საბაზო ბანაკში მცირე თათბირი გაიმართა, თუ როგორ მოვიქცეთ. გვინდა მეორე დღეს (ფერისცვალებას) მყინვარწვერზე ავიდეთ. მთავარია, როგორი ამინდი იქნება, რადგან დღეს გამოცდილ ესპანელ მთამსვლელებსაც გაუჭირდათ ასვლა. — თუკი ამინდი ნორმალური იქნება, ღამის 2 საათზე უნდა გავიდეთ, — გვეუბნება თამაზი. ღამის პირველ საათზე ამინდი აირია. ველოდებით გამოდარებას, მაგრამ დილაზე ქარი და ხოშკაკალი მძინვარებს. რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. დილითაც ამინდი არასახარბიელოა. ორწვერის მიდამოები სქელ ნილშია გახვეული, თითქოს გვამინებს, არავინ დაარღვიოს მისი მყუდროება. არადა, ჯგუფის დანარჩენ წევრებს უჭირთ ამ ცივ შენობაში კიდევ რამდენიმე დღით დარჩენა. თამაზის გამოცდილება გვეიმედება. ამიტომ გავრისკეთ ცუდ ამინდში მწვერვალ ორწვერზე ასვლა. რადგან მყინვარი თოვლს დაეფარა, უარი ვთქვით წრიაპებზე. მორენები გადავლახეთ და თოვლით დაფარულ ნაპრალებთან მყინვარს მივადექით. გზად მოსკოველი ალპინისტები გვხვდებიან. უამინდობის გამო უკან დაბრუნებულან და ჩვენც იგივეს გვირჩევენ. ჩვენ გზას ვაგრძელებთ. შუადღისას ორწვერის ქედის მისადგომებთან ვართ. ცოტა შევისვენეთ, თაფლიანი წყალი დავლიეთ და თოქით ვიწყებთ ქედზე ასვლას. წერაყინით ნელ-ნელა ჭრის საფეხურებს თამაზ ბაქანიძე. 50 მეტრი სიმაღლის დაძლევისას საათზე მეტი დასჭირდა. თამაზი თოქს ამარებს კლდეზე და ახლა ჩვენ მივცოცავთ კედელზე, შემდეგ ქედზე გავდივართ. ნილში მწვერვალი აღიმართა. და, თურმე მწვერვალი კი არა, „გუშავია“, „შემდეგ მეორე, მესამე „გუშავია.“ ბოლოს გამოჩნდა ორწვერის ქვიანი, სვეტად აღმართული მწვერვალიც. ჯერ ერთ წვერზე ავი-

ვართ, შემდეგ - მეორეზე. გარშემო ნილთა და ქარი მძინვარებს... სიხარულისაგან ვყვირობ, გვინდა ერთმანეთს მივულოცოთ, მაგრამ თამაზი გვაჩერებს: — მილოცვა ქვევით, მშვიდობიანად რომ ჩავალთ, იქ იქნება. ვწერთ წერილს, (ინგლისური ტექსტი წინასწარ მოამზადეთ), გახეთ „გურიის მთებთან“ ერთად ვდებთ კონსერვის ქილაში და მწვერვალზე ვტოვებთ. ქვევით ვეშვებით, ბოლო „გუშავზე“ რევაზი და შოთა დავუშვით თოქით. უცებ დიდი ლოდი მოწყდა. საბედნიეროდ შოთა ახლოსა და ქვის ვარდნის ძალაც მცირეა. ამინდი კიდევ უფრო გაუარესდა. თოქის დასამარებლად საიმედო

ლოდს ვერ ვნახულობთ. სამხრეთ დასავლეთისაკენ უფსკრულის მხარეს ვექვით ჩასვლელს. ბოლო თამაზი ჩამოვლი. ჩამოვლით 4 000 მეტრ სიმაღლეზე და ატყდა ჭექა-ქუხილი. ელვა თითქოს გარშემო გვივლის. ყურთასმენა არაა. კლდესთან ახლოს ვერ მივდივართ, ქვათაცვენის გვეშინია. წერაყინებს ხელს ვერ ვკიდებთ. რევაზ ცქვიტინიძე ფერდობზე აგდებს ვიდუკამერის აკუმულატორს. ჭექა-ქუხილმა ჩვენგან გადინაცვლა. ასიოდე მეტრი გავიარეთ და კაკლისოდენა სეტყვა წამოვიდა. ჯგუფად ვდგევართ, გვერდებს მაინც დავიცავთ. სინესტე ძვალ-რბილში ატანს. მეგობრისაგან ნათხოვარ, ამერიკელი ჯარისკაცის „ბატინკებშიც“ სინესტე შევიდა და ფეხებზე მცია. ცოტათი მოძრაობა მშველის. წინ თამაზ ბაქანიძე მიდის. თოქი დაზღვევაზე გვაქვს. რამდენიმე საათის წინ, ჩვენს გამოვლილ გზას ავცდით. მარჯვნივ დიდ უფსკრულს დაუღია ხახა. ასვლის დროს, ერთ ადგილას თამაზმა გზის მაჩვენებლად ალპენშტოკი ჩაასო, მაგრამ 10 მეტრშიც არაფერი ჩანს. თან დაძვება და წინ გერგეტის მყინვარის ნაპრალებიანი ველი გვაქვს გასავლელი. ერთ-ერთ მომენტში ჩვენი ნაფეხურები ვნახეთ, მაგრამ 50 მეტრის გავლის შემდეგ ქარსა და თოვლს ისე წაეშალა იგი, ვერაფერს ვამჩნევთ.




ნ. ასათიანი, შ. ცხომელიძე, თ. ბაქანიძე, რ. ცქვიტინიძე. გერგეთის მყინვარი 1997 წ.

ძლივს ჩავდივართ მყინვარამდე. აქ ვცდილობთ შეძლებისდაგვარად სწრაფად ვიმოძრაოთ. ნაპრალები ერთ-ერთი ჩავარდნისას ფეხი ვიღრმე, მაგრამ არ ვიმჩნევ. შებინდებისას მივალწვიეთ მორენებამდე. მარცხნივ ქვათაცვენის ცნობილი ველი ხმაურობს; ტყუილად კი არ ჰქვია „ხმაურა.“ ღამით მივედით მეტეოსადგურში. სიხარულით გვილოცავენ მშვიდობიან დაბრუნებას თბილისელი, ყაზბეგელი, გერმანელი, ჩეხი, რუსი მთამსვლელები. თურმე, სახელდასხვოდ შექმნილი ინტერნაციონალური მშველი ჯგუფი, ყაზბეგელი მთამსვლელის, მშველთა სამსახურის უფროსის ჯონი ხეცურაინის ხელმძღვანელობით ის-ის

იყო ჩვენს საქებრად წამოსვლას აპირებდა. * * * ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ, ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში გურამ თიკანაძის ფოტო-ნამუშევრების გამოფენა გაიმართა, რომელიც ფოტოხელოვანმა, გურამის მეგობარმა ნარიმან ერქომაიშვილმა მოამზადა. აქვეა ფოტოხელოვან რევაზ ცქვიტინიძის ნამუშევრებიც. ბევრი ადამიანი დაესწრო გამოფენას, მათ შორის გურამ თიკანაძის ახლობლებიც. შემდეგი ღონისძიება კვარათში საქართველოს მეკლდეურთა პირველობა იყო, რომლის სამსაჯო კომისიაში დენიზა გოზალიშვილი და თამაზ ბაქანიძე იყვნენ. ამის შემდეგ თამაზ ბაქანიძეს ყოველ ზაფხულს ვხვდებით. ვმოგზაურობდით აჭარა-გურიის მთებში, ვსაუბრობდით ალპინიზმზე და ხანდახან სახლშიც ვსტუმრობდით. იგი მუდამ უპეტუნო, ყოველგვარი ღირსებით შემკული პირვნება იყო. აჭარა-გურიის მთებში მოგზაურობისას, თავისუფალ დროს ხატავდა. რამდენიმე თვის წინ გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში გვეწვია. ვისაუბრეთ, ინტერვიუ ჩავწერეთ და მისი თხოვნით რამდენიმე დეტალის დაზუსტების შემდეგ უნდა დაგვებეჭდა... აუცილებლად დაგებეჭდავთ. დასაწვია, უფალომა ნათელში ამყოფოს დიდი ადამიანის სული.

კველი ოზურგეთის ქრონიკები

საწნახელი და მისი დამუშავების ტრადიციული წესები



„იგი ხშირად ადის უმაღლეს სტეპზე, ისე, რომ ზოგჯერ შეუძლებელია მიწიდან ყურძნის დანახვა“ (იქვე).

საყურადღებოა ვახუშტი ბატონი-შვილის ცნობით დასავლეთ საქართველოში, მდინარეებზე ხშირად აკეთებდნენ ვახისაგან გაბმულ ხიდს, კრძოდ, ცხენის-წყალის შესახებ ვახუშტი წერს: „წყალი ესე, ვინაიდან არა უტყვევებს ხიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთვის შესწვნენ ვახისაგან და გაბამენ ამერ კადით იბერამდე და გაუბამენ ვახისაგანვე სახელურებსა აქეთ და იქეთ და ვლენან ქვეთნი მას ზედა და ექების მკიდარებისაგან ფრიად ხიდი იგი. გარნა უწყინ ოდიშსა შინა ხშირად ხიდი ესე, და უწოდებენ ბონდსა“ (ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ.1941 წელი გვ. 152).

აპოლონ წულაძე: „მოელი გურია შვიგზღვისპირეთიდან თავსუბრამდე პრიმიტიულად გაშენებული მაღლარი ვენახის ბაღი იყო. ვენახის გაშენებას არ სჭირებოდა დიდი შრომა და ოსტატობა. გურული თოხით ან ბართი ხეს ძირში ამოჭრიდნენ ვახის დასაფარავ მიწას, წაქცეულად-წაფურდებულად „ჩაკეტებდა“ მთ ვახის ლერწმს და ცალი ფეხით მიწას მატებდა. ასე მორცხული ვახი მესამე წელიწადს ნაყოფს იხსამდა. მერე მასზე გაწეული შრომა იყო მხოლოდ მოკრეფა და და ღვინის დაყენება. ვენახების მეტი წილი ასეთ „მზუნველობას“ მოკლებული იყო: მაგრამ მაინც უხვად იხსამდა. ძველად ღვინის ისეთი სოხვე ყოფილა, რომ ძველ ჩხავერს ღვინდნენ და ჭურში ახალს ასხამდნენ. წინათ არ ლოთობდნენ. მაგრამ ღვინო მაინც ბევრი უნდოდათ, რადგან უღვინოდ არამც თუ იჯარას, არამედ „ხევისსაც“ არ მიირთმევდნენ. ყანის მუშას სათავრო ღვინო მუდამ თან მიჰქონდა. ერთი სიტყვით, გურულს თუ ჭურში ღვინო ევლებოდა, სტუმრის არა თუ ემინოდა „პირიქით, ეჭვდა კიდევ. ღვინო იყო მისი ოჯახის მასხვლებელი, უღვინობა-„მოძაყველი“. ღვინის დასაყოლებელს, ყოველთვის იმზავდა. კაი მასპინძლობა ჰქონდა, რომ იტყოდნენ, ამას მეორე დაურთავდა: მასპინძელი რა შუაშია, ღვინო იყო კაი მასპინძელი“ (ა. წულაძე, „ეთნოგრაფიული გურია, თბ.1971 წ. გვ. 49).

გურიაში 60-მდე ვახის ვაში, უფრო სწორად, 64 (ივანე ჯავახიშვილი) არსებობდა. უხველესი გურული ვახის ვაშების ღვინო გურული კაცის სასათივითაა, ამბობდნენ, მსუბუქი და ხალისიანი. გურიაში გავრცელებული იყო აბორიგენული ვახის ვაშლები: მტკვანდილი, კამური, საკმეღა, კლარჯული, სხილათუბანი, ჩხავერი, ჯანი, მტრედისფეხა, ორონა, კამისტონი, ჭუმუტაათინაური, ბადაგი, ალადასტური, სამარხი, სპეციალისტების აზრი: საკმეღას საკმეღელით ლეთიურად მსუბუქი და სურნელოვანი ღვინო აქვს. კლარჯული გურულებს კლარჯეთიდან ჰქონიათ შემოტანილი, ჯანი საუკეთესოა - უხვმოხავიანი არ არის, მაგრამ სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, ჭუმუტას ძირითადად საჭმელად იყენებდნენ, ითვლებოდა საუკეთესო სურფის ყურძნის ვაშლად. ათინაური თეთრყურძნიანი აბორიგენული ვახის ვაშლია. სამარხი თეთრყურძნიანი გურუის უხვრფასესი ვაშლია. ეს ვაში მე-8-9 საუკუნეში მესხეთიდან გამოიხიზნული მოსახლეობიდან უნდა იყოს შემოტანილი, ხარისხიან ღვინოს იძლევა და ახასიათებს მაღალი შენახვის უნარი. ცვლა ამ ვაშლის გადამრეწვისა და დიდი ქობების, ბატონ ანდრო ვამალოძის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა ვახით

„ალიონის“ ფურცლებზე.

ვახის დაყვადებამ - ფილოქერამ, რომელიც 1853 წლიდან მძინვარებდა, ბევრი ვენახი გაანადგურა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვახის ტრადიციული ვაშლები თანდათან განდევნა ოდესიდან შემოტანილი „იზაბელა“ (ე. წ. „აღესამ“) განდევნა. უკანასკნელ დრომდე ძველი ადგილობრივი ვაშლები მთავრებული იყო და ძირითადად გურიაში გაბატონებული იყო ცოლიკური და მაღლარი ადესა.

საწნახელს ქართული კაცი რომ ძალიან დიდი ხნის წინათ აკეთებდა, ეს კარგად ჩანს შვიცარიელი სიძველელთა მკვლევარისა და მოგზაურის დიუბუა დე მონპერეს ჩანაწერებიდან. მას 1833 წელს ვახისაგან გამოქცეულების ტერასებზე უნახავს თამარ მეფის დროინდელი ვენახის ნაშთი, სადაც ზოგიერთ ვახს თეთრი ყურძენი ესხა. მასვე ვერადრება მოუქცევია კლდეში გამოჭრილ საწნახელზე, რომელსაც ზერული ჰქონდა და წურული ღვინის დინებისათვის. (ე. წ. კინავა - მასალები მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ. 1960 წ. გვ. 23).

საინტერესოა კიდევ ერთი ცნობა ჩვენ მიერ აღმოჩენილი, უფრო სწორად, მუხუშუმის ყოფილი დირექტორის ენვერ გოგუაძის მიკვლეული „საწნახელისა და სახელწოდება

„მესხების უბნის“ შესახებ: „სოფელ შუმოქედში ცხემლისხილისა, შემკვლელად ადგილს უწოდებენ „მესხების უბანს“. გამოკითხვებით დადასტურდა, რომ „მესხებს“, „მესხიშვილებს“ შემოქმედში არასდროს უცხოვრიათ. ტოპონიმი „მესხის უბანი“ უნდა იყოს დაკავშირებული გურიის ტერიტორიაზე მესხური ტომების დასახლებასთან. როგორც ცნობილია, მესხური ტომის მოძრაობას სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიდამოებში ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებში ჰქონია ადგილი. აქედან შესაძლებელია, რომ „მესხის უბანში“ ნაპოვნი კლდეში ნაკვეთი საწნახელი ძვ. წ. XII საუკუნით დათარიღდეს“ (ენვერ გოგუაძე).

საინტერესოა ბიზანტიელი მწერლის პროფიტი გესარიელის ცნობა, რომ „მესხები შრომის მოყვარენი არიან. მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო მაქვთ სხვადასხვა ქვეყანაში გასაყვად“ (ვლ. სიჭინავა, იქვე გვ. 23).

ზემოთ აღნიშნული ქვაში ნაკვეთი საწნახელი მესხების უნდა იყოს. ამ მიდამოებში ისინი ვენახსაც გააშენებდნენ და საწნახელსაც გააკეთებდნენ.

საწნახელი ქართული მარნის (საღვინე სახლის) ერთ-ერთი ატრიბუტია. გვხვდება სამი სახის: ქვითკირით ნაშენი, ქვაში გამოკვეთილი და ხის მორისაგან გათლილი.

ქვითკირის საწნახელს აკეთებდნენ კახეთში, იგი მარნში ერთ ერთ კედლის ძირშია მიშენებული, საგანგებოდ აქვს უკანა გვერდი ამოყვანილი, დანარჩენ გვერდებზე მარნის კედლები გამოყენებული. საწნახელის კორექციით წმინდად გადაღვივებულ ფსკერზე ყურძნის წვენი (ტყბილის) საღვინე ღარები შეინიშნება, წინადაც ძირში ტყბილის გამოსავლელი თიხის ან რკინის მოკლე ძლია. ზოგჯერ საწნახელი ორ განყოფილებადაა. იგი გამოიხიზნულია სხვადასხვა ფერის ყურძნის დაწურვისათვის. ქვითკირის საწნახელის ხანგრძლივი ტრადიციის დასტურდება ძველ ნასოფლარებსა და ნავენახებში წარმოებული გათხრებით, რომელიც მოწმობს, რომ ჯერ კიდევ X-XI სს. ხმარებაში ყოფილა ყურძნის ასეთი საწყველტი.

ქვის საბადოებით მდიდარ მხარეებში ქართლსა და იმერეთში ძველთაგანვე

მოიკადა ფეხი ქვაში ნაკვეთი საწნახელია. იმერეთის სოფლებში ახლაც შეხვდებით ასეთ საწნახელს, რომლის ზედაპირსაც ვახისა და ყურძნის გამოსახელები ამშვენებს. ვარძაში „ქვაბთა ქალაქ უფლისციხეში“ 2300 წლის წინანდელი საწნახელი ხომ ამის ნათელი დადასტურებაა.

რაც შეეხება ცაცხვის მორისაგან გათლილ საწნახელს, იგი მთელ საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა სახელწოდებით.

ქართლ-კახეთში საწნახელს ნავი ეწოდება, იმერეთსა და გურიაში - საწნახელი, სამეგრელოში - ოჯინახი, რაჭალე-ჩხუში - ხორე ან ხაბი. საწნახელი სხვადასხვა სიდიდისა და ტევადობისა, გვხვდება 20-40- ფუთიანი, 200-300 ფუთიანიც კი. სიგრძე ოთხიდან ათ არმინამდე.

საწნახელის სიდიდეზე მიუთითებს ქართული გამოცანაც „მეხვედ და შავი იყო, მივედი და ხრამი იყო“.

საინტერესოა XVII საუკუნის მისიონერის კასტელის ჩანახატები. ერთ-ერთ მათგანზე ასახულია ყურძნის დაწურვის სცენა ფარალაღა მარანში ვენახ საწნახელი მარნის. მას პატარა კიბე აქვს მიდგებული, მეღვინეები კიბეზე ადინ და ისე ცლიან საწნახელში ყურძენს. თვით საწნახელში ორი კაცია, ერთი წურავს ყურძენს, მეორე ცლის გოდორს... იგი ხალხის ყოფა-ცხოვრებას ასე ავგვიწერს: „ხეზეზე მაღალი ვახებიდან დიდი რაოდენობით კრეფენ ყურძენს და დაყენებენ ღვინოს, რომელსაც ველური ვემო აქვს, ამასთან ყურძენი იმდენი არის, რომ ხალხი ვერ ასწრებს მის დაკრეფას და ამიტომ ნახევარზე მეტი იღუპება“ (ბიძინა გიორგაძე, „კასტელის ცნობები და ჩანახატები საქართველოს შესახებ“, თბ. 1977 წ. გვ.35).

ხის მორისაგან გათლილი საწნახელი ორი ძირითადი სახით გვხვდება „გაკუთხული“ და „მრგვალი“.

მრგვალი საწნახელი გურია-სამეგრელოში და რაჭალე-ჩხუშიში გავრცელებულია. ასეთი საწნახელი „თავგამოყვებულია“. ძირითადი თავისებურება ღვინის დაყენების წესით არის გააბიობული. აქ საწნახელი არა მხოლოდ ყურძნის ფეხით დაწურავს ელსაწურება არამედ ღვინის დასაყენებელი ჭურჭლის მოვალეობასაც ასრულებს და იგი გაკუთხულზე უკეთესი საღვინარია.

ამბობენ, საწნახელს ერთი შეხედვითანვე ეტყობა, როგორი ოსტატის ნახელავია. საწნახელის მიღებამ უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში მოიკადა ფეხი. საწნახელის დასამზადებლად საუკეთესოა ცაცხვი, რადგან იგი სუფთაა, მსუბუქი და ადვილად დასამუშავებელია. ამასთან, ცაცხვი „ქსოვილი“ ხეა - მისი მორი ადვილად არ გასკდება, არ გაიპობა გათლისას. საწნახელზე ხეს შემოღობა-მაზე ან ზამთარში ჭრინა, წაქცეულ ხეს დაამორავებ და სასურველ სიგრძეზე გადახვევს. მრგვალი საწნახელისთვის მორს მხოლოდ კანს შემოაცლიან და შეუდგებიან მამნივე გულის ამოღებას.

გაკუთხული საწნახელის დამუშავება მისი გარედან გაკუთხვით, იოკუთხედად გათლით იწყება. ხეს ნაჯახით გულს ამოუღებდნენ, შემდეგ მოკლე-ტარაინი ერთი ამოშენდნენ, გათლიდნენ ლარში (ლარი დანაყილ ნახშირში ამოვლებული ბაწარია). გათლილ საწნახელს გადაბორუნებდნენ და მომდლოდ შედგამდნენ. ორ-სამ ხეზე გააბოვირებდნენ, ორივე კვირის მანძილზე ასე დატოვებდნენ ქარი და ყინვა გამოაშრობს და გამაშატებსო. ამის შემდეგ საწნახელის წაღებაზე მიდგება ვეერი უხარმაზარი ტვირთის წასაღებად პატრონი ზოგჯერ 30-40- კაციან „ნადს შეიწევს“.

ათი თორმეტი „მაგარი“ მამაკაცი მხრით შეუდგება საწნახელზე გარდა ვარდო დაკრულ კეტებს. ვაში მათ დანარჩენი „მომხმარენი“ მიჰყვებიან ფეხ-დაფეხს, დროდრო ერთმანეთს ენაცვლებიან, საწნახლის მზიდვენი მოდიან მოლიპულ თავდაღმართში, საცალფეხო ბილიკებზე, კლდესა და ღრეში, ხანდახან იმხანად სიმღერასაც „დასძახებენ“, ერთმანეთს არ უმტყუნებენ, როგორც ხარები კეტის ქვეშ მდგომი, მხარზე უხარმაზარი ტვირთი რომ დასწოლიათ, ასე გააღწევენ „სახარომდე“, აქედან ხარები გათორებენ და მინ მიტანილი საწნახელი საბოლოოდ გათილება და გაიწყობა. მას დაწურული წვენი ტყბილის გამოსავლელს გამოუბურდავენ, თავებს საიმედოდ გამოუყენებენ და საგანგებოდ შეაყენებენ, ასეთი საწნახელი რამდენიმე თაობას გაუწევს სამსახურს.

კლდელორიდან ადგილიდან უნდა გამოეტანათ ისეთი მძიმე ტვირთი, როგორც იყო საწნახელი, საცალფეხო ხიდი, საძინებელი (სახლის სარტყელებს შორის გადაებული ხე, რომელზედაც სახლის სასურავია დაღურსნული), ჩამური თუ სხვა. საჭიროების შემთხვევაში, ნაღვამის დაუშვლად, ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა-გადაჩოჩება ან კიდევ უფრო მაღლა აწევა. მუშაობა იყო სახიფათო, საჭიროებდა ნამდვილ ერთსულოვნებას, სიფრთხილეს, ერთგულებას, სრულ ძლიერ კოლექტორ პარძინას, თორემ საკმარისი იყო, რომელიმე ერთი მცდარი ნაბიჯი გადაეგა და უხველურება მოხდებოდა, ცვლას ხეში გადაწვავდა. გურულებსათვის უსიძღვროდ მძიმე ტვირთის აწევა წარმოუდგენელი იყო. ამიტომ ტვირთის მზიდვს ყური ბუღაღისაგან ეჭირა, ცდილობდა არ გამოაპროვდა მისი სიძღვრა, სიძღვრის ხმის აწევდაწვეთიანი და ჩქარი ტემპით, შეძახილებით და გადახილებით, ცვლა ამხანაგს აგრძობინებდა, თუ როდის გადაეგა ფეხი ფრთხილად და წელა, როდის გაველო ჩქარა, როდის გამართულიყო წელში და როდის მოხრილიყო, სიძღვრის კოლო საჭიროების მიხედვით სიგნალიც იყო და განგამც.

ტვირთის აწევსა და გადმოტანის დროს გურიაში მღეროდნენ სიმღერას „ელესა“. იგი უღელსო სიმღერა გახლდათ. სარდლოური ბრძანება იყო ელესა და ასწი ბიჭო, ელესა და გასწი ბიჭო, როცა სამწვინაობის გავიდიდნენ, უფრო ცხოველი ტემპით მღეროდნენ და ასე გაიტანდნენ „სახარომდე“.

გურიაში გავრცელებული სიმღერა „ელესა“ შესახებ არსებობს თქმულება, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სოფელ აკეთში ცხოვრობდა თავადის ქალი ელენე შალიკაშვილი ერთ წელს ელენეს ჩხავერის დიდი მოსავალი ჰქონია. ელენემ დაავალა ბიჭებს მისთვის საწნახელი მოეტანათ. ბიჭები წავიდნენ ჩოხატაურში, სამების ტყეში, მოჭრეს ხე, გამოთალეს საწნახელი და მოუშადნენ წამოსაღებად, როდესაც მოჭინდათ, ტვირთი მძიმე იყო და ინსტიტუტურად წამოიძახეს, წამოიძღვრეს ესა და ელესო, ესაო ეს იმას ნიშნავდა, რომ საწნახელი ელენეს იყო. მოიტანეს. საწნახელს ღვინო გასდინდა, ისევე წავიდნენ სამების ტყეში, დაამზადეს მეორე საწნახელი და როცა მოჭინდათ, პირველს მღეროდნენ ესა და ელესა ესაო. მეორეზე ორი ელესა ესაო. და ა.შ.

სიძღვრის დაწყების-მოქმედი, საქმის ბეღადი, სარდალი გახლდათ. სიმღერა ერთი გრძობით და მისწრაფებით მსგავლავდა საქმის ცვლა მინაწილეს-მთელ კოლექტებს - ავიწყებდა სხვა ცვლავებს და მათ გრძობა უბრუნებს მთავარად მხოლოდ და მხოლოდ ტვირთზე რომელ-

საწნახელი და მისი დამუშავების ტრადიციული წესები



საც სიმღერა უმსუბუქებდა „სიმღერა ტვირთის შერაქვება იყო, მძიმე მსუბუქად ქვევებოდათ, დაღლას არ გრძობდნენ.

სიმღერა „ელესას“ შესახებ ანზორ ერქომაიშვილი გადმოგვცემს: „ტიციან საწნახელის ან საშენი მასალის გამოტანის დროს „ელესა“ იმღერებოდა. საწნახელს ძირითადად ცაცხვისაგან აკეთებდნენ, რომელსაც თებერვალში მოჭრიდნენ (სანამ ხეში წყალი ჩდებოდა), ხე რომ არ დახეთქილიყო და არ დამპალიყო. საწნახელს გამოთლიდნენ, დეკოლოდებდნენ, სანამ გახმებოდა და მოიწვედნენ ნაღს მის ჩამოსატანად. საწნახელის გამოსათრევ გზას წინასწარ გაკაფავდნენ. საწნახელს გვერდიდან ხელის მოსაკიდ სამკლავურებს

უკეთებდნენ. სამკლავებდა ნელი წყვილი ან თხილის ტოტებს დაგრებდნენ, ღვინის გამოსაღებს წინასწარ გაბურღავდნენ წინ და შიგ მსხვილ თოკს გამოაბამდნენ, ამის შემდეგ შეუდგებოდნენ საწნახელის გამოთრევას. დიდი საწნახელის გამოსატანად საჭირო იყო 20-30 კაცი. იმისთვის, რომ აძენ ხალხს ერთად მოეწიათ თოკი გარკვეული რიტმით, ვიღაცას ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. ამ საშასურს „ელესა“ უწევდათ. რომელიმე მოძღვრალი დაიძახებდა „ელესა“ და „ესა“ უბასუბებდა ნადი. „ესას“ ძხილზე ერთად გამოსწევდნენ თოკს და საწნახელს წინ მოუნაცვლებდნენ ადგილსავე გრძობდებოდა მანამ, სანამ მას სწორ გზაზე არ გამოიტანდნენ. ამგვარად, შეძახილი „ელესა

და“ იყო გამაფრთხილებელი, ხოლო, ესა“ საშუალოს შესრულებას ნიშნავს. ამის შემდეგ მოძღვრები შეუდგებოდნენ სიმღერის მეორე ნაწილს, რომელსაც ორპირული ეწოდებოდა (ორი ვეგუვი ასრულებს მიმდევრობით) სიმღერებს იმეორებდნენ იმდენჯერ, რამდენსაც შრომის პროცესი მოითხოვდა. (ანზორ ერქომაიშვილი „მევი მაშვი ჩიოდა“ თბ.1999 წ.გვ. 30).

საინტერესოა საწნახელში ყურძნის დაწურვის ტრადიციული წესი იგივე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეტნაკლებად სხვადასხვა. კახეთში დამკვიდრებული წესის თანახმად, ყურძნისასე საწნახელში ჩამდგარი ფეხშიშველი მუხლებამდე შარვალმოკეცილი მწურავი თავდაპირველად აუჭქარებლად მთელი ტერფებით დატკეპნის მწიფე ყურძენს, როცა ყურძნის წვენი საკმოდ გამოცვლებდა და საწნახელში დაღლა დაიწვეს, მწურავი ძლიერად „ჩასაცემს“ ფეხს, ბოლოს კი საგულდაგულიოდ „გაქუსლავს“ - ქუსლებით გასრესს ყურძნის ჭკვას. დროდადრო ნიჩბით გადაბრუნებს, და აცლის წვეწს დაწურვას, მერე კვლავ მიღება ქუსლებით. საწნახელში ყურძნის დაწურვის წესი მწურავისაგან, საკმაო გამოცდილებასთან ერთად, მუხლის ძალასაც მოითხოვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ფეხით ყურძნის დაწურვის შედეგანობა მაინც ბუნებრივად განსაზღვრულია. ყურძნის ჭკვამი კიდევ რჩება საკმაო რაოდენობით ტვირფასი წვენი. ამ წვეწის საღვინედ გამოყენების

მიზნით, ქართულ მარანში საწნახლის გვერდით ძველთაგანვე გაჩნდა ხელსაწყო ჭკვას დასაწურველი ჭკხრაკი. საწნახელს იშვიათად თუქცა დღესაც იყენებენ ღვინის დასაყენებლად, ტკბილ ჭკვამზე დაღვება ძირითადად საწნახელში ხდება. საწნახელში აყენებენ ასევე წყალნარე ღვინოს (ზოგჯერ მას „მუა ღვინოს“ უწოდებენ) ეწ. სასარგლო ღვინოს.

მეფურეულთა ისევე შემოქმედში „მესხისეულ უბანში“ აღმოჩენილ კლდეში ნაკვეთ საწნახელს. საწნახელი ისევე დგას, როგორც უტყუარი ნაშთი ოდესღაც აყვავებული მეფეწაბობისა ძველ გურიაში. საწნახელის სიგრძე 6 მეტრია, სიგანე - 1 მეტრი, სიღრმე - 80 სმ. იგი ერთიან კლდეზე გრუნტშია ამოკვეთილი. აქვე ტკბილის გამოსაღებად ქვისავე პატარა გამოყოფი. საწნახელის გარშემო აღმოჩენილ იქნა ქვის ყორე, რაც მოწმობს იმას, რომ საწნახელის გარშემო უნდა ყოფილიყო სხვა დამხმარე ნაგებობები.

აღნიშული საწნახელის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ვეწვეთ ბატონ დავით სურციტს - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მმართველს, რომელმაც მაამო, რომ 2017 წლის ნოემბერში მონიტორინგის ფარგლებში იმყოფებოდა სოფელ შემოქმედში, დასახლება ვონებისკარი (ადგილი მესხისეული, ნაბოგვარა), ნახეს ქვის საწნახელი, რომელიც, მისი აღწერით, გამოთლილია ერთი


დიდი კონუსის ფორმის ლოდისაგან. შედგება საწნახი და მასთან ზერვლით დაკავშირებული საღვინე განყოფილებისაგან (ეს არის ჩვენ მერ დასახლებით 20 წლის წინათ ნანახი და ზემოთ აღწერილი). აქედან კოლომეტრანსევერში (ადგილი „მოძწვარა“) ნაპოვნი იქნა კიდევ ერთი, ერთ განყოფილებიანი ქვამი ნაკვეთი საწნახელი. ორივე საწნახელი სავსეა წყლით და დაგარულია ხავსით. აღნიშნულის შესახებ ეცნობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს გენერალურ დირექტორის ბატონ ნიკოლოზ ანთაქეს. და შეგვიანდია კულტურული მემკვიდრეობის ვი პორტალზე.

აღნიშნული ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით, ისინი უნდა გაიწმინდოს და მოხდეს კონსერვაცია. დაიხვას საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე მათთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულის და საერთოდ გურული ვაზის ისტორიების გათვალისწინებით, ხომ არ შეიძლება საკითხით დაიტერფდეს ტურიზმის რეგიონული სამსახური და მან შეიმუშაოს მარშრუტი „ღვინის გზა“, ნივთიერად ვაჩვენოთ, გავაცნოთ უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს ის ტვირფასი მასალები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია.

ანანა ლომაძე

სკანვორდი



				საკელესიო პირი			მამაკაცის სახელი			ერთგვარი ქსოვილი	
	მოგება ნარდში			↓			↓		↗	შხამიანი მწერი	ყოფილი იუგოსლავიის თავკაცი
			↖	↗						სასაკლაო	↓
			↘	↖	პატარა ღროშა						↗
				↖							↘
				↖	ცეცხლის ენა	ღილი დასარტყამი ინსტრუმენტი	საჭაპანო ტრანსპორტი		↗	მასხარა	მემკვიდრეობით ნაწყალობევი მიწა
				↖	განთიადი				↗	მეირფასი მინა	↖
			↖	↗					↗	თმის საღებავი	მომბლაღე, მწვალებელი
		სამაგილო თამაში	პლანეტა	↖	ჩვილი ბავშვის საწოლი		ნაცია საქართველოში		↖	ამპლუა	↓
	მსუბუქი ქარი	კარგი ამინდი		↖	სიცოცხლეს რომ სიმღერით ემშვიდობება	ტბა თბილისში	კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი		↖		↓
		იმერული შეძახილი		↖			მამაკაცის სახელი		↖		↗
				↖			პოტენციის ასამაღლებელი საშუალება	მესამე პირის ნაცვალსახელი			↗
↖	სურათზე:	აჩრდილი		↖		ღიას	მაფხულის თვე		↖	გოჭი მეგრულად	↖
				↖					↖		↗

№ 27-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - ფილიმონ ქორიძე; ნავის ასაღები - აქანდაზი; მშობელი - მამა; უდიდესი მდინარე ევროპაში - დუნაი; წინას ანტიპოდი - უკანა; მალაზიის გამყიდველი - ნოქარი; ევკალიპტის ჯიში - მანანა; კამათი - დავა; ნახევრკუნძული დასავლეთ ევროპაში - აპენინი; კუბის დედაქალაქი - ჰავანა; საჭადრაკო გამოცანა - ეტუოლი; ვლადიერი მოფერებით - ვოვა; ზღაპრული ფრინველი - ფასკუნჯი; მსუბუქი დაცინვა - ირონია; ბეირფასი მეტალი - ოქრო; მაღლიერების გამოშხატველი სიტყვა - მაღლობა; დეკორატიული მცენარე - აგავა; ცხენკაცი - კენტავრი; ძაღლის სახელი - ბასარა; ... გამსახურდია - კოკო; სასაპარეზო ადგილი სტალიონზე - მოედანი; მამაკაცის სახელი - სისონა; სახელმწიფო აფრიკაში - მაროკო; აქტივია - კივი; ქალაქი იმერეთში ვანი; თავი რომ ვერ დამალა - ჭირი; სერიოზული საქმე ჰერცენის მიხედვით - სიცილი; ღუმბადის ცხვირა პერსონაჟი - ილარიონი; ციტრუსის სახეობა - ღიმონი; ქალაქი რაჭაში - ონი; წყლის ტრანსპორტი - ნავი; სამკურნალო ბოსტნეული - ნორი; თეორი ცქრიალა ღვინო - მანავი.

„შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში“ არაჩვეულებრივი გამოფენა



ალიონი. 9 ივლისს ოზურგეთის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში – გალერეაში პროექტის „შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში“ გამოფენა გაიხსნა. სახვითი ხელოვნების მოყვარულთ შესაძლებლობა მიეცათ, გაცნობოდნენ ვახტანგ მეგრელიშვილის, უგნე ჟილი-

ტეს, ნერინგა ჟუკაუსკაიტეს, კურა ბროდსკაის, ვია გვიჩიას, თამაზ დარჩიას, თანდილა თავართქილაძის დაზვური გრაფიკით შექმნილ ნამუშევრებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეს ოზურგეთის გალერეაში საოცრად რეზონანსული, არაჩვეულებრივი გამოფენა ვიხილეთ.


მოკლედ იმის შესახებ თუ რა აზრისა არიან ამ პროექტზე მასში მონაწილე მხატვრები:

ვახტანგ მეგრელიშვილი: „სიახლეები და ხელახალი ექსპერიმენტები მნიშვნელოვანია ხელოვანისათვის და ხელოვნებისათვის ზოგადად. ახალი ტექნოლოგიებით ახლის ძიება და ახალ შედეგებზე გასვლა უპირველესი ამოცანაა შემოქმედისათვის. ოზურგეთის გალერეა ყოველთვის მზადაა ამ ექსპერიმენტისათვის. მადლობა მას.“

უგნე ჟილიტი: „ხელოვნება ჯერ გონებაში იქმნება და ყველაზე მეტად მახარებს, როცა სამუშაოს ვასრულებ ისე, როგორც ჩავიფიქრე. გურიაში ეს გამოძვიდა.“

თამაზ დარჩია: „ოზურგეთის შემოქმედებითმა სახელოსნომ „GURIAN-ART“ მეოთხე წელია გაშალა ფრთები. დაე, ამ გაშლილი ფრთებით მთელი მსოფლიო გაეოცებინოს.“

ნერინგა ჟუკაუსკაიტე: „შემოქმედება შედგება უამრავი ინსპირაციისგან, რომელიც ჩვენს ირგვლივა. ახალი კულტურები, ახალი ქვეყნები და ადამიანები ახდენენ ყველაზე დიდ გავლენას ჩემს ხელოვნებაზე.“



ჩემს ნახატზე.“

კურა ბროდსკაია: „გურია ჩემთვის განასხიერებს იმ თავისუფლებას, რომელიც მინდა მოვიპოვო საკუთარ ნამუშევრებში.“

ვია გვიჩია: „ოთქმის 30 წელია, რაც გურიაში არსებულ შემოქმედებით სტუდია-სახელოსნოში ვიზიტებს შემოქმედებითი ბუხარი, რომელიც იძლევა სითბოს, სინათლეს და თავის გარშემო აერთიანებს ხელოვან ადამიანებს.“

თანდილა თავართქილაძე: „ხელოვანისთვის ბედნიერებაა შემოქმედებითი თვითრეალიზაცია. შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნო „GURIAN-ART“ არის და იქნება ცოცხალი ორგანიზმი ოზურგეთის სივრცეში

„შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში“ ოზურგეთის თანამედროვე

სახვითი ხელოვნების ცენტრის ერთ-ერთი ნოვაციური პროექტია, რომლის უმთავრესი მიზანია ხელოვნების პოპულარიზაცია. მან ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ დონეზე ისეთი პლატფორმის ჩამოყალიბებას, რომელიც სახვითი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პროფესიონალ და დამწყებ მხატვრებს მისცემს სრულფასოვანი შემოქმედებითი რეალიზაციისა და პროფესიულ ზრდა-განვითარების საშუალებას.

პროექტის ამოცანაა ნიჭიერი ქართველი და უცხოელი ხელოვანი ადამიანების მოწვევა სტუდია სახელოსნო „GURIAN-ART“-ის ჭერქვეშ, მათთვის საინტერესო, თავისუფალი სივრცის შექმნა ახალ გარემოში და ოზურგეთელ მხატვრებთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.



ოზურგეთის თეატრი ფოთის სამართაშორისო ფესტივალზე

14 ივლისს, საზეიმოდ გაიხსნა ფოთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელშიც საქართველოს ყველა პროფესიული თეატრი და ლიეტუვას (ალიტუსის), უკრაინის (ხარკოვი) და ირანის (თერანის) თეატრები მონაწილეობენ. როგორც ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა **ზაზა ჯინჭარაძემ** გვითხრა, ოზურგეთელები ფესტივალზე 19 ივლისს წარდგებიან ახალციხელი მაყურებლების წინაშე. ისინი მესხეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ანა



ბიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორული ფესტივალი დასრულდა

ოზურგეთში ცნობილი ქორეოგრაფისა და ლოტბარის, საქართველოს სახალხო არტისტის, გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის მე-10 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი დასრულდა.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა, უცხოურმა ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა. მოწვეო ფესტივალში მონაწილე ანსამბლების საზეიმო მსვლელობა. გაიმართა გალა-კონცერტი და მონაწილე ანსამბლების დაჯილდოება.

კონკურს-ფესტივალში უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსიისა და ესტონეთის ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლები, ასევე საქართველოს რეგიონების ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ. გრან-პრის მფლობელი გახდა ყაზახეთის ქორეოგრაფიული ანსამბლი „კარნავალი“. ფესტივალის მონაწილეები პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებით, სხვადასხვა პრიზებით და ფესტივალის ლაურეატის დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიებას გურიაში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, მოადგილესთან აკაკი შენგელიასა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

კონკურს - ფესტივალი ოზურგ-



ეთის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის კულტურის განყოფილების, ა(ა)იპ ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრისა და საზოგადოება „არტ-გურიას“ ორგანიზებით ჩატარდა.

მზა, ღრუბელი +17+28 15 ივლისი ორშაბათი	ელ-ქვიპი +17+25 16 ივლისი სამშაბათი	მზა, ღრუბელი +17+25 17 ივლისი ოთხშაბათი	მცირე წვიმა +18+26 18 ივლისი ხუთშაბათი	მზა, ღრუბელი +18+24 19 ივლისი პარასკევი	მზა, ღრუბელი +17+22 20 ივლისი შაბათი	მცირე წვიმა +17+25 21 ივლისი კვირა
---	--	--	---	--	---	---------------------------------------

7 დღის ამინდის პროგნოზი